# ხობის მოამბე

№7 (7147)
21 ივნისი, სამშაბათი.
2022 წელი.
ფასი 0,70 ლარი

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო



## ირაკლი ღარიბაშვილი: ევროკომისიამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება, პირველად გაჩნდა ისტორიული ჩანაწერი, რომ ევროკომისია ევროპულ საბჭოს აძლევს რეკომენდაციას, საქართველოს მიენიჭოს პერსპექტივა–გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა

მოგესალმებით, მინდა, რამდენიმე სიტყვით მივმართო ჩვენს მოქალაქეებს. 17 ივნისს, ევროკომისიამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება–პირველად გაჩნდა ისტორიული ჩანაწერი, რომ ევროკავშირი, ევროკომისია ევროპულ საბჭოს აძლევს რეკომენდაციას, საქართველოს მიენიჭოს პერსპექტივა იმისთვის, რომ გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა და როგორც ევროკომისიის პრეზიდენტმა ქალბატონმა ურსულამ განაცხადა, ევროპამ კარი გაუღო საქართველოს, ეს ნამდვილად არის ისტორიული გადაწყვეტილება,–ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა.

მისივე თქმით, ის რეკომენდაციები, რომელიც ქვეყანამ უნდა შეასრულოს, ისედაც იყო ხელისუფლების დღის წესრიგში ჩაწერილი, თუმცა არის სხვა საკითხებიც, რასთან დაკავშირებითაც მუშაობა გაგრძელდება ბრიუსელთან და საქართველო მიიღებს კანდიდატის სტატუსს.

„ვულოცავ თითოეულ ქართველს ამ ისტორიული გადაწყვეტილების მიღებას. მეორე, რაც ასევე ევროკომისიამ თავის რეკომენდაციაში ჩაწერა და მიმართა საბჭოს არის შემდეგი–საქართველოს მიენიჭოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, როგორც კი პრიორიტეტები და ანუ პირობები შესრულდება. ახლა როგორც კი დაამტკიცებს საბჭო აღნიშნულ რეკომენდაციებს, ჩვენ,რა თქმა უნდა, მაშინვე დავიწყებთ მუშაობას ბრიუსელთან. მინდა, განვმარტო მოქალაქეებისთვის, რომ ამ რეკომენდაციების უდიდესი ნაწილი ისედაც იყო ჩვენს დღის წესრიგში ჩადებული, არის სხვა საკითხები, რომელსაც ჩვენ, რა თქმა უნდა, ბრიუსელთან გავარკვევთ, ვიმუშავებთ და მივიღებთ კანდიდატის სტატუსს. მინდა აქვე, ჩვენს მოქალაქეებს განვუმარტო, ვინაიდან ვიცი, რომ მოქალაქეების უმეტესობას გარკვეული კითხვები დარჩა, თუ რატომ აღმოჩნდა, ასე ვთქვათ, უფრო მეტად წახალისებული მოლდოვა და უკრაინა და მინდა, ავუხსნა ჩვენს მოქალაქეებს შემდეგი; მოლდოვას და უკრაინას, აქვს აბსოლუტურად იდენტური ჩანაწერი პერსპექტივასთან დაკავშირებით, ანუ მათაც ჩაუწერეს, რომ საბჭოს მიმართავს რეკომენდაციით ევროკომისია, რომ მათ მიენიჭოთ სტატუსი, პერსპექტივა და ასევე სტატუსი. ანუ, რეალურად სტატუსს აძლევენ ავანსად. ეს არის წამახალისებელი ავანსი უკრაინისთვის, რომელიც არის უმძიმეს ომში და მოლდოვასთვის, რომელიც არის ასევე ძალიან მძიმე მდგომარეობაში. ამავდროულად მათაც სთხოვენ, მოსთხოვენ მთელი რიგი რეფორმების გატარებას. ჩვენს შემთხვევაში არის პირიქით, ჯერ უნდა შევასრულოთ ყველა ის პირობა, რომელიც არის დადებული, ეს რეფორმები განვახორციელოთ, პრიორიტეტები განვახორციელოთ და,რა თქმა უნდა, საქართველოს ამის შემდეგ მიენიჭება სტატუსი,“- განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, სწორედ „ქართული ოცნების“ და ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა ყველა ის ხელშესახები მიღწევა, რომელიც უკავშირდება საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციას.

ასევე, მინდა ვუთხრა ჩვენს ძვირფას ხალხს, რომ ასოცირების ხელშეკრულება, თავისუფალი ვაჭრობა, უვიზო რეჟიმი და ახლა უკვე ევროპული პერსპექტივა და კანდიდატის სტატუსი. ეს ყველაფერი უკავშირდება „ქართული ოცნების“ მმართველობას.

ვუსურვებ ჩვენს ქვეყანას მშვიდობას და ქვეყნის გაერთიანებას,“–განაცხადა პრემიერმა.

**მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური**

## ვახტანგ ლოლუა ევროპის ჩემპიონია

15 წლის ვახტანგ ლოლუა ჭაბუკთა შორის (17 წლამდელთა) ევროპის ჩემპიონია.

რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში, მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე, საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრმა, ვახტანგ ლოლუამ 48 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა. ხობელმა მოჭიდავემ ფინალში აზერბაიჯანელი იბადოვი დაამარცხა.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს ხობელ (შუა ხორგა) სპორტსმენს და მის მწვრთნელებს (სურაჯი გვასალია, მამუკა ყორშია, ბაკურ ბუკია) ევროპის პირველობაზე მოპოვებულ გამარჯვებას.



2015 წლის 13 ივნისს, თბილისში, მდინარე ვერეს ხეობაში მომხდარმა სტიქიამ ორი ხობელი ახალგაზრდის, დების–ინდირა და ლიზი ზარანდიების სიცოცხლე შეიწირა.

ხობის მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბუკიამ და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გოჩა ქაჯაიამ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ინდირა და ლიზი ზარანდიების ხსოვნას პატივი მიაგეს და მათი საფლავები ყვავილებით შეამკეს.



„სწორ შრომას შედეგი მოჰყვება“ 2გვ.

„ხორბელები ეკონომიკურად უნდა გაძლიერდნენ...“ 3გვ.

ღირსეული წინაპრის გზა... 4გვ.

„ყადაღადებული ლეგენდები“ 5გვ.

თეატრალური ხობი 6გვ.

# „სწორ შრომას შედეგი მოჰყვება“

## გია ჩაბალუხა–მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი



***ბატონო გია, თქვენი წარსული სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, მკითხველისთვის ცნობადი სახე ბრძანდებით. მსურს, ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ბავშვობა და ცხოვრების დღემდე განვლილი გზა.***

–დავიბადე ხობში, პირველ მაისში, 1967 წელს. სკოლის დამთავრების შემდეგ დავამთავრე ქ. ვორონეჟის სახელმწიფო არქიტექტურის სამშენებლო აკადემია, არქიტექტურის ფაკულტეტი.

სხვადასხვა წლებში (1988-2021 წ.წ.) ვიყავი, მუნიციპალიტეტის მთავარი არქიტექტორის პოზიციაზე. დღეს კი ვხელმძღვანელობ ქ. ხობის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითერებისა და არქიტექტურის სამსახურს.

მყავს მეუღლე თეა ბერაია, სპეციალობით ფილოლოგი. ვაჟიშვილი გიორგი–ვენეციის არქიტექტურის ინსტიტუტის მაგისტრანტია.

***დავუბრუნდეთ დღევანდელობას–სამსახური, რომელსაც ხელმძღვანელობთ, ფაქტიურად მერიის ხერხემალია, მკითხველისთვის საინტერესოა სად, რა სამუშაოები მიმდინარეობს ამჟამად***?

–ჩვენს ქალაქში უამრავი სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, მათ შორის გამოვყოფდი ცენტრალურ პარკს, რომელიც დამთავრდება 2023 წლის იანვარში, ასევე მრავალფუნქციურ სპორტულ დარბაზს, რომელიც ექსპლოატაციაში შევა ივლისის ბოლოს.

მიმდინარეობს სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში, სავარდიოს უბანში.

**ახალი სოფლის და შუა ხორგის** ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი გზის (ასფალტო-ბეტონი) მოწყობის სამუშაოები.

**ყულევის** ადმინისტრაციულ ერთეულში სასოფლო გზის რეაბილიტაცის სამუშაოები.

ხობის მუნიციპალიტეტის **ნოჯიხევის** ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნოჯიხევში სასოფლო გზის მოწყობა (ცემენტო-ბეტონი).

უკვე დასრულებულია საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრიდან მდინარე ჭანისწყლის ხიდამდე გზის სარეაბილიტაციო და ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები.

***ვიცით, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით", ხალხის არჩევანი შედგა, როდის დაიწყება მათ მიერ არჩეული სამუშაოები?***

–„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარეობს პროექტების დამუშავება, რომელიც დასრულდება ერთი თვის განმავლობაში და დაიწყება სამუშაოების შესრულება.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული სამუშაოები უნდა ჩატარდეს ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში:

**ახალი სოფელი**–სასაფლაოების შემოღობვა.

**გალმა პირველი** ხორგა–გარე განათების მოწყობა.

**ახალი ხიბულა**–სოფელ გაშფერდში–გარე განათების მოწყობა; ზუბი–შიდა გზების მოხრეშვა.

**ბიის** ადმინისტრაციულ ერთეულში სასაფლაოს შემოღობვა. საშონიოში–შიდა გზების რეაბილიტაცია;

**ზემო ბიაში**–ბიასა და ნაფოშტუს დამაკავშირებელი ხიდბოგირების რეაბილიტაცია.

**გურიფულის** ადმინისტრაციულ ერთეულში–პირველ გურიფულში–საბავშვო ბაღის შემოღობვა, II-გურიფულში–გარე განათების მოწყობა.

**ზემო ქვალონი**–შიდა გზების მოხრეშვა. საალანიო-საფაჩულიოში–სანიაღვრე არხების ამოწმენდა; სახოჭოლავოში–შიდა გზების მოხრეშვა.

**თორსაში–ცენტრის კეთილმოწყობა:**

დღვაბა–სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა; საბუკიოში–სანიაღვრე არხის ამოწმენდა; მონასტრის უბანში მოსაცდელის მოწყობა.

**ნოჯიხევში**–სანიაღვრე არხის ამოწმენდა; პროფსასწავლებელთან მისასვლ გზაზე მილხიდის რეაბილიტაცია. ნოჯიხევში, ზედნში–გარე განათების მოწყობა.

**კუთხე ნოჯიხევში**–ნაპირსამაგრის მოწყობა, სასაფლაომდე მისასვლელი გზაზე. ნაფოშტუს უბანში–ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია.

**პატარა ფოთში** გარე განათების მოწყობა.

**პირველი მაისში**–ბაგა-ბაღის სარემონტო სამუშაოები

**პირველი ხორგაში**–სკვერის კეთილმოწყობა;

**საგვიჩიოში**–სკვერის მოწყობა;

**ზენი**–სასაფლაომდე მისასვლელი ბეტონის გზის მოწყობა;

**საჯიჯაო–ზუბში**–გარე განათების მოწყობა;

**ჯაპიშაქარი**–სასაფლაოს ტერიტორიაზე სველი წერტილის მოწყობა;

**გალმა საჯიჯაო**–მოსაცდელის მოწყობა;

**ქარიატა,** (გალმა და გამოღმა)–გარე განათება;

**ქვემო ქვალონი**–გიმოზგონჯილში და ბულიშში–გარე განათება;

**დურღენაში** კი შიდა გზები.

**შუა ქვალონში** სოფელ გვიმარონის სანიაღვრე არხების ამოწმენდა, ჭითაუშქურში კი ხიდ-ბოგირის მოწყობა.

**ყულევი**–სასაფლაოს შემოღობვა.

**შავღელე**–შიდა გზების მოხრეშვა;

**შუა ხორგაში**–გაღმა მხარეს–ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება. გამოღმა ხორგაში–განათების მოწყობა;

**ყორათში**–შიდა გზების მოხრეშვა;

**ძველ ხიბულაში**–გზების მოხრეშვა;

**ჭალადიდში**: საბაჟოში–განათების, საქორქიოში–შიდა გზების, საღვამიჩავოში და საჭოჭუოში–სანიაღვრე არხების ამოწმენდა.

**ხამისკურის ერთეულში**–ყველა უბანში წყალმომარაგების სისტემის ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

**ხეთის ერთეულში**–გარე განათება და ოხვამე კარში შიდა გზების მოხრეშვა, სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია და სათაო ნაგებობების მოწყობა.







***როგორც აღნიშნეთ, წელს მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი უნდა განხორციელდეს, მათ შორის, რომელია ყველაზე პრიორიტეტული?***

–მგონია, რომ ნებისმიერი სამუშაო მნიშვნელოვანია თითოეული უბნისთვის.

***როგორ წარმოგიდგენიათ ხობის მუნიციპალიტეტი 2024 წლისთვის?***

–ძალიან ბევრი სამუშაოს შესრულება იგეგმება.

ცოტნე დადიანის ქუჩის საცხოვრებელი სახლები ითხოვს ფასადების აღდგენას.

გამსახურდიას და ჟიული შარტავას სახელობის ქუჩები, ცენტრალური მოედნის ახალი ასფალტო-ბეტონით დაიფარება.

ტროტუარებზე გამწვანების ზოლები მოეწყობა.

ჩატარდება ჭყონდიდელის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

აშენდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ახალი, თანამედროვე ტიპის შენობა. სოფლებში სასოფლო გზები მოეწყობა. ხანდაზმულ ნაგებობებს თანამედროვე ტიპის შენობები შეცვლის. პრიორიტეტად ისევ რჩება სპორტული მოედნის მოწყობა, რაც ჯანსაღ ცხოვრებას შეუწყობს ხელს.

ქალაქის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანია მიწისქვეშა კომუნიკაციების, სანიაღვრე არხების და კანალიზაციების მოწყობა.

***ბატონო გია, თქვენი ნება რომ იყოს, როგორც არქიტექტორი, რას და როგორ შეცვლიდით?***

–მინდა, რომ ქალაქს ჰქონდეს თავისი არქიტექტურა. სიტყვა „შეცვლას“ ჩავანაცვლებდი განვითარებით, გაუმჯობესებით, რაც გვაქვს იმაზე ახლის დაშენებით, აგურზე აგურის დადებით.

***და ბოლოს, თქვენი, როგორც მოქალაქის (არა თანამდებობის პირის) ნატვრა?***

–მე, როგორც პროფესიით არქიტექტორი, ურბანულად, სწორად განვითარებულ ქალაქს ვინატრებდი.

***რას იტყოდით, უფრო სწორად, რას ურჩევდით ახალგაზრდებს?***

–დაგროვილი ცოდნის სწორ რეალიზებას, რაც გულისხმობს, ხარისხიან განათლებას.

***გაიხსენეთ თქვენი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წუთები.***

–როცა გავიგე, რომ ჩემი შვილი გიორგი ჩემს პროფესიას განავითარებდა...

***ამ გადასახედიდან რას შეცვლიდით ცხოვრებაში?***

–არასდროს, არაფერს!

***რას ეტყოდით მკითხველს ჩემი შეკითხვის გარეშე?***

–იღვაწონ ქვეყნისთვის! ახსოვდეთ, რომ სწორ, მიზანმიმართულ და პატიოსან შრომას ყოველთვის მოჰყვება შედეგი.

***გმადლობთ ინტერვიუსთვის***

***ესაუბრა***
***მერი ლაგვილავა.***

## სოფელი

**ნომრის სტუმარია ბესიკ კორტავა –ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი პირველი ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში**

# „ხორგელები ეკონომიკურად უნდა გაძლიერდნენ...“



***ბატონო ბესიკ, გვიამბეთ თქვენზე?***

–მოგესალმებით, მივესალმები გაზეთ „ხობის მოამბეს“ თანამშრომლებს და ვთვლი, რომ თქვენი გაზეთი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ისტორიის მქონე გაზეთია მთელ რეგიონში, რომელიც მუდმივად ასახავს ჩვენი ქვეყნის აქტუალურ მოვლენებს. ჩემთვის დიდი პატივია თქვენთან კომუნიკაცია და საუბარი იმ მნიშვნელოვან თემებზე, განხორციელებულ და განსახორციელებელ პროექტებზე, ახალ გამოწვევებზე, რომელიც მიმდინარეობს ჩვენს მუნიციპალიტეტში, კერძოდ პირველი ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში.

დავიბადე ხობის რაიონის სოფელ პირველ ხორგაში. დავამთავრე მშობლიური სკოლა. სწავლა განვაგრძე ნოვოჩერკასკის საინჟინრო მელიორაციულ ინსტიტუტში. ჰიდრომელიორაციული სამუშაოების მექანიზაციის სპეციალობით, ინჟინერ–მექანიკოსის კვალიფიკაციით, რომლის დამთავრების შემდეგ სოფელს დავუბრუნდი.

1985-87 წლებში ვიმუშავე ფოთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში, 1995–2005 წლებში ხობის მელიორაციისა და წყალთა მომარაგების სამმართველოში. 2015-2018 წლებში შ.პ.ს. „ხობი დასუფთავება და განათებაში“ სპეციალისტად.

მყავს მეუღლე მანანა ნოდია–მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების განყოფილების სპეციალისტი.

***რას გვეტყვით პირველ ხორგაზე, მის წარსულსა თუ აწმყოზე?***

–სოფელი პირველი ხორგა, სადაც დავიბადე და გავიზარდე, დიდი ისტორიული წარსულის მქონეა. წარსული კი მუდმივად გვახსენებს თავის ღირსეულ შვილებს, მშრომელ და გამრჯე ადამიანებს, რომლებიც ასე ამშვენებდა და ამშვენებს სოფელს.

პირველი ხორგის მოსახლეობა ყოველთვის გამოირჩეოდა განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით, ურთიერთთანადგომით, ტრადიციით, სამარლიანობით, ერთგულებით, ვაჟკაცობით. არ შემიძლია დიდი გულისტკივილით არ გავიხსენო გოგა ბერაია და არ ვიამაყო ჩვენი დროის გმირით, რომელიც 2008 წლის 8 აგვისტოს, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას შეეწირა.

***რა არის თქვენთვის აუცილებელი და გადაუდებელი საქმე, რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია?***

–ჩემთვის აუცილებელი და გადაუდებელი საქმეა პირნათლად ვემსახურო ჩემს ქვეყანას, სოფელს, ხალხს. ვაკეთო კეთილი საქმე სოფლისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. ჩემთვის მთავარია, სჯეროდეთ და სწამდეთ ჩემი, მყავდეს ბევრი მადლიერი ადამიანი. რაც შეიძლება მაქსიმალურად გადავჭრათ ყველა ის პრობლემა, რაც აწუხებს მოსახლეობას. დავდგე იქ, სადაც ნდობა და საქმის სიყვარულია.

ჩემთვის მთავარი პრინციპი ერთგულებაა, რომელსაც სხვა ალტერნატივა არ აქვს და ურთიერთგაგების მნიშვნელობაც გააჩნია. ჩემთვის კი ერთგულება უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ვალდებულების მოხდის მიზნით, რაღაცის პირნათლად შესრულება. ამ სიტყვაში იგულისხმება, სიყვარულით აღსავსე მხარდაჭერა, რაც სხვების სასარგებლოდ მთელი გულით გაკეთებული კეთილი საქმით ვლინდება.

ვსარგებლობ შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით თითოეულ ჩემს თანასოფლელს, მოხუცს თუ ახალგაზრდას კიდევ ერთხელ მადლობას გადავუხდი მხარდაჭერისთვის, თანადგომისთვის, ერთგულებისთვის. ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს, მშვიდობას ვუსურვებ. ხოლო ახალგაზრდებს, რომლებიც ახლა გამოდიან ცხოვრების ასპარეზზე, გამარჯვებები დაბედებოდეთ (ანი კორტავა, საბა კორტავა, ნატა გაბუნია).

არ არის იოლი იყო სოფლის ხელმძღვანელი. ჩემთვის ეს დიდი პასუხისმგებლობაა.

***რას გვეტყვით ახალ გამოწვევებსა და პროექტებზე, რაც განხორციელდა ბოლო პერიოდში ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად?***

–2018 წლიდან განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხა ასე გამოიყურება:

ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებით შიდა სასოფლო გზების კეთილმოწყობა (მოხრეშვა), გაკეთდა სოფლის გარე განათება, განხორციელდა გოგა ბერაიას საფლავზე ობელისკის მოწყობის სამუშაოები.

აშენდა სოფლის ცენტრში ახალი შენობა, სადაც განთავსებულია მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის ოფისი, საბავშვო ბაღი და სამედიცინო ამბულატორია. რეაბილიტაცია ჩაუტარდა გოგა ბერაიას სახელობის მინი სპორტულ მოედანს. კვირაში ორჯერ ხდება არსებული სანაგვე ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა.



***რა სამსახურები ფუნქციონირებს სოფელ პირველ ხორგაში და როგორია მათი როლი ხალხის კეთილდღეობის საქმეში?***

–სოფელს ემსახურება ადმინისტრაციული ერთეულის სპეციალისტი ნონა ბერაია. საბავშვო ბაღი, რომელსაც ჰყავს მთავარი სპეციალისტი ასმათ ბერაია, აღმზრდელი მაია ჭანტურია, მუსიკის მასწავლებელი სალომე შონია, მზარეული თინიკო დოლბაია, აღმზრდელის თანაშემწეა ირინე ალანია. ბაღში კრგი პირობებია. იქ ირიცხება 15 აღსაზრდელი. გვაქვს ამბულატორია გვყავს კვალიფიციური ოჯახის ექიმი სოფიო მალანია, გამოცდილი ექთანი ნაირა გვარამია, სოფელი ემადლიერება ამ ქალბატონებს.

წლების წინათ არსებობდა ალიო მირცხულავას სახელობის აგურით ნაშენები საშუალო სკოლა, რომელიც წითელ წიგნშია შეტანილი, დღეს იქ, სამწუხაროდ, მხოლოდ დაწყებითი კლასები ფუნქციონირებს, სადაც ამჟამად 12 მოსწავლე სწავლობს. სკოლას ჰყავს სერთიფიცირებული მასწავლებლები ლალი შონია და ნინელი ჭითაშვილი.

არის სასოფლო კლუბი, (სპეციალისტი იზოლდა ნადარაია). ალიო მირცხულავას სახელობის სახლ-მუზეუმი, რომელიც სრულ რეაბილიაციას მოითხოვს.

სოფელში წლების წინათ აშენდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტერი. ტერიტორია, სადაც მონასტერია აშენებული, კერძო ოჯახის საცხოვრებელი კარ-მიდამო გახლდათ, რომელიც ადგილობრივმა მკვიდრმა, აწგანსვენებულმა გულია შელიამ საჩუქრად საპატრიარქოს გადასცა (ნათელი დადგეს მის სულს).

***რა არის ის, რაც ამჟამად თქვენს სოფელში ხდება. როგორ წყდება მომავალი წლის ბედი?***

–პირველ ხორგაში შემოსავლის ძირითად წყაროს სიმინდის კულტურა და მეცხოველეობა წარმოადგენს. თითქმის დასრულებულია ხვნა-თესვა. მოხნული და დათესილია 180 ჰექტარზე სიმინდის კულტურა, აქტიურობდნენ, როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე კერძო მექანიზატორები.

მოსახლეობის გარკვეული ნაწილი აქტიურად ჩაერთო ხორგელთა ფართობებზე კენკროვანი მცენარის–ლურჯი მოცვის გაშენების საქმეში, რომელსაც უცხოელი მეწარმე აწარმოებს (გენერალური დირექტორი დათო ლაბარტყავა, მენეჯერი გულადი ჭაჭია).

სოფელში იჯარით აღებულ 80 ჰექტარ ფართობზე უკვე დარგული და გაშენებულია მოცვი. 20-ჰექტარზე კი დარგვა გრძელდება. საქმე ძალიან შრომატევადია, მაგრამ მიღებული ანაზღაურებით მოსახლეობა კმაყოფილებას გამოხატავს, დასაქმებულია სოფლის მოსახლეობა.

როგორც ყოველთვის, წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, მოსახლეობას დაურიგდა აგრობარათები, რითაც მათ შესაძლებლობა აქვთ შეიძინონ მათთვის საჭირო, აუცილებელი, ოჯახისთვის გამოსადეგი ნივთები, რაც მოსავლის აღებაში დაეხმარებათ.

ვფიქრობ, ეს პროგრამა მომავალში გაგრძელდება. რაც დიდი შვება იქნება მოსახლეობისთვის. მადლობა, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ ხელისუფლებას.

***რა არის ამჟამად სოფლისთვის აუცილებლად მოსაგვარებელი საქმეები. ასევე რა გადაწყვიტა მოსახლეობამ „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში?***

–პირველ რიგში აუცილებელია გაიწმინდოს სანიაღვრე არხები, რადგან ძლიერი და ხშირი წვიმების შედეგად იტბორება ოჯახები. შარშან სამი ოჯახის საკარმიდამო ნაკვეთი და სახლის პირველი სართული დაიტბორა. მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად მუნიციპალიტეტის მერიამ ფულადი კონპენსაცია გასცა ამ ოჯახებზე.

ასევე, მოსახლეობის დაჟინებული მოთხოვნაა, მოხდეს სოფლის გაზიფიცირება.

დღის წესრიგში დგას სოფლის დარჩენილი შიდა გზების კეთილმოწყობა-მოასფალტება. ასევე შინმოუსვლელთა ობელისკის რეაბილიტაცია.

***იქნებ არის ისეთი რამ, რაც აუცილებლად უნდა გეთქვათ?***

–ვფიქრობ, ამომწურავად ვისაუბრე იმ გამოწვევებზე, რომელიც ხალხის საკეთილდღეოდ უნდა გაკეთდეს.

ჩემი დიდი სურვილია, მშვიდობა იყოს უკრაინაში. ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ უკრაინას და უკრაინელ ხალხს.

ბედნიერი ვიქნები, როცა ჩემი სოფელი კიდევ უფრო გაძლიერდება, დამშვენდება, ხალხი ეკონომიკურად გაიხარებს და სოფელი ძველ დიდებას დაიბრუნებს.

***საუბარი ჩაიწერა ნანი კილასონიამ.***

წარსულის ფურცლებიდან

# ღირსეული წინაპრის გზა...



საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ულამაზეს კუთხეს–სამეგრელოს, მათ შორის ხობს, მრავალი ნიჭიერი, ხალხზე მზრუნველი, ქველმოქმედი, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის საქმეში მნიშვნელოვანი ფიგურა ჰყავდა და ჰყავს.

წინაპრებისადმი უდიდესმა პატივისცემამ გადამაწყვეტინა, მკითხველისთვის მომეთხრო შორეულ წარსულში მოღვაწე, პირველმაისელ ესტატე ბესარიონის ძე შუშანიაზე, რომელიც 1871 წელს ხეთაში, დღევანდელ პირველმაისში დაბადებულა. საამაყოა, რომ მან იმ დროს მნიშვნელვანი წვლილი დაიდო სასწავლო-საალმზრდელო საქმეში.

იმდროინდელ საქართველოში მეფის რუსეთი მკაცრად კრძალავდა ბევრ რამეს, მათ შორის სკოლაში ქართულ ენაზე სწავლებას და საუბარსაც კი.

ახალგაზრდა ესტატე შუშანიას აღელვებდა ხალხის მდგომარეობა–წერა-კითხვის უცოდინარობა. გადაწყვიტა, რომ მიზნად დაესახა ებრძოლა ამ საქმისთვის. მას ქვეყნის ხსნის ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად სწავლა-განათლება მიაჩნდა. ბატონმა ესტატემ ამ იდეის განსახორციელებლად დაიწყო ზრუნვა. უნდოდა თავის თანასოფლელთათვის წერა-კითხვა და მადლიანი ქართული ესწავლებინა.

უფრო ზუსტად, მინდა სხვადასხვა მონათხრობიდან და ოფიციალურ მასალაზე დაყრდნობით, გესაუბროთ, ვინ იყო ესტატე შუშანია. მან ზუგდიდის მაზრის, ქუთაისის გუბერნიის სოფელ ხეთაში მცხოვრებმა აზნაურმა, დეკანოზ ბესარიონ შუშანიას შვილმა, სენაკის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1891 წელს დაამთავრა. იმავე წელს, მამისეული ოჯახის კარ-მიდამოდან მიწის გარკვეული ნაწილი სკოლის გასახსნელად გაუმეტებია და აუშენებია ერთკლასიანი (სამწლიანი) სამრევლო სკოლა საკვიკვინიოს უბანში, წმინდა სოფიოს სახელობის ეკლესიასთან, რომელიც 1896 წლიდან გადაკეთდა ორკლასიან საეკლესიო-სამრევლო სკოლად, რაც ბატონი ესტატეს ძალისხმევითა და გურია-სამეგრელოს ეპარქიის სასწავლო ოლქის საბჭოს გადაწყვეტილებით განხორციელებულა. იქ ბატონი ესტატე უფროს მასწავლებლად დაუნიშნავთ. ის გულმოდგინედ და კეთილსინდისიერად ასწავლიდა სკოლაში, რაც დიდ მოწონებას იმსახურებდა ზემდგომ ინსტანციებში. გასათვალისწინებელია, რომ ის უხელფასოდ ასწავლიდა შეგირდებს. როგორც თავად ამბობდა, თურმე სკოლის შენობის აშენებაში მას ნათესავები და მოსახლეობაც ეხმარებოდა.

ესტატე შუშანიამ, მიუხედავად მთავრობის მრავალგზის აკრძალვისა, მიაღწია იმას, რომ მის მიერ დაარსებულ სკოლაში სწავლა ქართულად მიმდინარეობდა.

მან სკოლისთვის შეიძინა სასწავლო ნივთები. თავისი ბიბლიოთეკიდან შეარჩია საჭირო წიგნები და სკოლაში მოაწყო ბიბლიოთეკა. სკოლას შეუქმნა საკუთარი მეურნეობა, მოიწვია გამოცდილი მასწავლებლები, რომელთაც ჯამაგირს თვითონ უხდიდა.

როგორც გაზეთ „კვალის“ რედაქტორი ანასტასია თუმანიშვილი ამბობდა: „ეს სკოლა ყოველმხრივ სასურველ წარმატებაში შევიდა. აქ სათანადოდ არის დაყენებული ქართული და რუსული ენის სწავლება, რაც დაამტკიცა შეგირდთა წლიურმა გამოცდამ. ეს სკოლა ღირსია ჩვენი საზოგადოების დახმარებისა და თანაგრძნობისა. მასწავლებელი ე. შუშანია დაუღალავად ზრუნავს იმაზე, რომ ახალგაზრდობას შეასწავლოს „დედაენა“. მან აგრეთვე გახსნა საკვირაო სკოლა და დასვენების დღეს მოზრდილთა სწავლებას ანდომებს. („კვალი“ 1894 წელი №34).

მალე ამ სკოლას „ესტატეს სკოლად“ მოიხსენიებდნენ. სკოლამ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების უდიდესი ყურადღება მიიპყრო. მას დიდი ილია თავმჯდომარეობდა. ისინი სკოლაში შესამოწმებლად აგზავნიდნენ პედაგოგებს და თურმე საუკეთესო შედეგებით ბრუნდებოდნენ. დადებითი შეფასების შედეგად, წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ სკოლა თავისი ბიუჯეტში შეიყვანა და ესტატე შუშანია გამგე-მასწავლებელი გახდა, ხელფასიც დაენიშნა.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიულეტინში–ფონდი „რქივი“ №481 ვკითხულობთ: „ყველაზე დიდი დახმარება წერა-კითხვის საზოგადოებამ აღმოუჩინა ხეთის სამრევლო სკოლას, სადაც ასზე მეტი ყმაწვილი სწავლობს და გამგე-მასწავლებელი ესტატე შუშანია ბეჯითად შრომობს. სკოლას მათგან უფასოდ ეგზავნებოდა ისეთი წიგნები, როგორიცაა „დედა ენა“, „ბუნების კარი“, „რუსსკოე ვესტნიკი“ და ასევე სხვა სასწავლო ნივთები...

ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, იპოლიტე ვართაგავა წერდა: „ესტატე შუშანიას ძალიან ახლოს ვიცნობდი, ის ჩემი უახლოესი მეგობარი იყო. შესახედავადაც ძალიან სიმპათიური, მოსაწონი, კულტურული ადამიანი, ნამდვილი თავდადებული, პრინციპული, დიდად სასარგებლო მუშაკია. ესტატე და მისგვარი მასწავლებლები, რეალურად, პრაქტიკულად ახორციელებდნენ იმ დიდ საქმეს, რომელსაც ქადაგებდნენ ილია, აკაკი, გოგებაშვილი და სხვა მოღვაწენი (ი. ვართაგავა „მოგონებები“, თბილისი 1965 წ.)

„მალე ესტატეს სკოლამ სახელი მოიხვეჭა მთელ სამეგრელოში“, „სკოლა კარგ შენობაში იყო მოთავსებული; მშობლებს თავისი ბავშვებისათვის კოხტა მერხები გაუკეთებიათ. ესტატეს მათთვის მოუხსენებია რუკების და სხვა აუცილებლად საჭირო ხელსაწყო-ნივთების შეძენა“.

„ჩანდა, ესტატე გულმოდგინედ მუშაობდა და მოწაფეებსაც ამუშავებდა. მოსწავლეებს კარგად შესრულებული წერითი სამუშოები ჰქონდათ“. („მოგონებები“ ნაწ. I გვ.188).

„ქართული ენის გაკვეთილების ჩატარებას განსაკუთრებული ხალისით და მონდომებით აწარმოებდა ესტატე. შევატყვე, რომ მოწაფეები გაკვეთილების ცვლის პერიოდში ქართულად (და არა მეგრულად) ლაპარაკობდნენ ურთიერთშორის. ამან მე სიამოვნებით გამაკვირვა“. („მოგონებები“ გვ.189).

„იმ პერიოდში მთავრობამ სამეგრელოს ყველა სამონასტრო სკოლიდან საბოლოოდ განდევნა ქართული ენის სწავლება; ამ სკოლებში სასტიკი რეჟიმი სუფევდა მოწაფეებს აკრძალული ჰქონდათ ქართული წიგნის კითხვა; ვისაც ქართულ წიგნს დაუნახავდნენ, შეუბრალებლად ერეკებოდნენ სკოლიდან, ქართული ენის სწავლების მომხრე ან უბრალოდ, თანამგრძნობი ქართველი მასწავლებლები თანდათან იდევნებოდნენ სკოლებიდან და ადგილს უთმობდნენ უპრინციპო მასწავლებლებს, მათ შორის გამოირჩეოდა თავისი უსირცხვილო თავხედობით, დაუმალავი ჯაშუშობით და ყოველივე ქართულის წინააღმდეგ ბრძოლით თადა აშორდია“ (იგივე წიგნი, გვ. 186-187).

„ბევრი საინტერესო ფაქტი გადმომცა ესტატემ გამცემი მასწავლებლების ცხოვრებიდან. განსაკუთრებით თადა აშორდია და მისი საზიზღარი მოღვაწეობა გულს უშფოთებდა ესტატეს. რამდენჯერმე ჰქონია ესტატეს მასთან მწვავე შეტაკება. ბევრჯერ დამუქრებია, მალე ყინულოვან ციმბირისკენ გაგასახლებო (იგივე. გვ. 189).

„ესტატეს სკოლას მოწინააღმდეგე ბანაკმა სასტიკი ბრძოლა დაუწყო. საჩივარი საჩივარზე მიდიოდა...“(გვ.195).

„სამაგალითო საქმიანობა გამოიჩინა ესტატემ ამ პერიოდში. მტრები განცვიფრებას ეძლეოდნენ: არ მოელოდნენ, რომ ერთი კაცი ამდენ უნარს და ენერგიას გამოიჩენდა. ესტატემ თავის სკოლას ურყევი ბაზა აღმოუჩინა. მტრებმა დაყარეს ფარ-ხმალი და ესტატეს სკოლის არსებობას შეურიგდნენ. საზოგადოების სიმპატია და ყურადღება ესტატეს სკოლისადმი ორკეცდებოდა, სანაქებო საქმედ გადაიქცა ესტატეს სკოლაში შვილების მიბარება“ (იქვე, გვ 195).

ესტატე შუშანიას მოღვაწეობა ამ სკოლით არ შემოიფარგლებოდა, იგი 1902-1906 წლებში ძველი სენაკის სათავადაზნაურო სასწავლებელში, ხოლო 1912-1914 წლებში ხობის მონასტერთან არსებულ სკოლაში მუშაობდა თურმე. 1915 წელს კი ხორგის უმაღლესი დაწყებით სასწავლებლის გამგე–ინსპექტორი იყო, 1920 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (1931 წლის 21 იანვარი) ხეთის 9 წლიან სკოლაში შრომობდა და მოღვაწეობდა.

საამაყოა, რომ 131 წლის წინათ მოღვაწეობდა ესტატე შუშანია და მის მიერ დაარსებული სკოლაც ამ ასაკის გახლავთ. მაგრამ, ალბათ, ბევრს ამ სასიქადულო ადამიანის შესახებ არც კი გაუგონია. მხედველობაში მაქვს თუნდაც ხობსა და პირველმაისში მცხოვრები ახალგაზრდები.

მათ წინაპარს შესანიშნავი შვილები ჰყავდა:

ეთერი შუშანია–ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

თინათინი (თინა) ფილოლოგი, პირველი მაისის №2 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

პაატა–იურისტი, რესპუბლიკის ყოფილი პროკურორია.

მიტუშა–სპეციალობით ინჟინერი (ნათელი დაადგეთ მათ ხსოვნას)!

მათმა ნაშიერებმა, ამ გვარის წარმომადგენლებმა, მთელმა ხობის მუნიციპალიტეტმა, მისმა სოფელმა შეიძლება იამაყონ იმით, რომ ასეთი წინაპარი ჰყავდათ.

1891 წელს, ესტატე შუშანიამ სკოლის პირველი ლამპარი დაანთო ხეთაში, (პირველ მაისში), მის ნაფუძარზე დგას სკოლა, რომელიც 1977 წლიდან საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ატარებს სახელოვანი პედაგოგის სახელს.

ეს სკოლა დღესაც სასახელოდ აგრძელებს დიდებული წინაპრის გზას...

**ნანი კილასონია.**

# „ცადაღვლენილი ლეგენდაში"

## გელა მამფორია– ფილოლოგიის დოქტორი

ლაშა გვასალიას პოეზიაზე საუბარი მინდა დავიწყო მისი ერთი პატარა, მაგრამ საოცრად ტევადი ლექსით, რომელიც მე ძალიან მიყვარს და რომელშიც ყველაზე უფრო რელიეფურადაა კონცენტრირებული მისი როგორც პოეტის და როგორც მოქალაქის შემოქმედებითი ერთობა:

*ეს ველი ყაყაჩოს ველია,*
*წითელი, ყაყაჩოს ველი,*
*ცხოვრება უცრემლოდ ძნელია,*
*მართლაცდა ძალიან ძნელი..*
*ეს ველი ყაყაჩოს ველია,*
*წითელი ცრემლებით სველი,*
*ქართველად სიცოცხლე*
*ძნელია,*
*სიკვდილზე ასწილად ძნელი.*

ლაშა გვასალიას პოეზია ახსნაა სწორედ იმისა, თუ რატომაა ადამიანის ცხოვრება უცრემლოდ ძნელი და რატომაა ქართველი კაცის, კოლხი კაცის სიცოცხლე სიკვდილზე ასწილად ძნელი. შორეული სივრცე და ადგილის დედა, ვარსკვლავეთი და მამული მუდმივად ფოკუსირდება ლაშას ლექსებში, რადგან მისთვის პოეზია არ არსებობს მამულის გარეშე და სწორედ აქ იკვეთება პოეტის მოქალაქეობრივი მრწამსი და რწმენის დიდი კედელი. ზემოთქმულის დასტურია ლექსი „ზეცისკენ":

*ზენავ, შენამდე ისღა მაკლდება-*
*რაც სულით ცასთან ვერ*
*მივიტანე.*
*თუ რამ გამაჩნდა, მიენაკვთება*
*სასახლის თაღებს შემდგარ*
*ტიტანებს...*
*და სასიკვდილო განაჩენებით,*
*შეუძლებლობის უქონელ წვათი,*
*ხანაც ჩორთით და ხანაც ჭენებით,*
*ლექსო,ზეცისკენ,ზეცისკენ წადი.*
*რომ სიკვდილამდე ერთი დღით*
*ადრე*
*სიყვარულის და სიმაღლის*
*მჩენად,*
*კლდეზე ატყორცნილ მუხას*
*ედარე,*
*რადგან მამული დაგვირჩეს*
*ჩვენად.*

ის, რაზეც ლაშა წერს აქ და სხვა ლექსებში, გახლავთ ქართველთა სულიერი მოძღვრისა და წმინდანად შერაცხული მამის-ილია მართლის გზა პოეზიაში და ლიტერატურაში. ერის წყლულის გათავისება ილიას შეგნებული არჩევანია, სწორი ხედვაა და მას პოეტურ ხელოვნებაში უკეთესი ალტერნატივა არ გააჩნია.

მიწიერისა და ზეციურის, პოეტურისა და საქვეყნო საქმის თანხმიერება და განუყოფლობა ილია ჭავჭავაძემ თავისი თაობის ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ქვაკუთხედად აქცია და მას ლიტერატურაში,ხელოვნებაში, ერისკაცობაში–ვიმეორებთ,უკეთესი ალტერნატივა არ ჰქონია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობდა სხვა მიმართულებაც ე.წ. „წმინდა ხელოვნების" თეორიის სახით, რომელიც პოეტის დანიშნულების საკითხს ცალმხრივად განიხილავდა და შემოქმედისგან მხოლოდ სუფთა პოეტური თემებით დაინტერესებას მოითხოვდა. ილიას გზა გაცილებით რთული და ეკლიანია და იგი დარჩება სიმართლისა და გოლგოთის გზად. ამ გზაზე ბევრი დაეცა, ბევრმა სიცოცხლე გაწირა, გული და შუბლი ტყვიას მიუშვირა ილიას დარად, მაგრამ უკვდავების შარავანდედით შეიმოსა.

პოეტი, რომელიც ამ გზას აირჩევს, დასაფასებელია, რამეთუ ეს არის შეგნებული არჩევანი, რამეთუ ეს არის ბრძოლა სიმართლისთვის, ეს არის ბრძოლა ქვეყნის გადარჩენისთვის. ამ გზით იარა ქართულმა მწერლობამ დღიდან დაბადებისა დღემდე და იგი თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო აქტუალური ხდება...



ლაშა გვასალიას პოეზიაში თანაბრადაა წარმოდგენილი ცა და მიწა, პოეტური და საამქვეყნო. ის ამ მიწის შვილია და აქ განცდილი ტკივილი და სიხარული აქვს ზეცაში სტრიქონებად, ლექსებად.

მე ლაშას ლექსებში ვერ ვნახე ამ ორ განზომილებას შორის დარღვეული პროპორცია, რაც მწერლობაში ილიას ხაზის ერთგულებაზე მეტყველებს. უსამშობლოდ, უსიყვარულოდ, უტკივილოდ, მშობლიური მიწისა და ცარგვალის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი პოეზია. ლაშა გვასალია სწორედ კლასიკური ტრადიციების პოეტია.

და, მაინც, როგორ უყვარს ლაშა გვასალიას ქართული მიწა, წინაპართა ფესვები, ფუძე-ნერჩი და ადგილის დედა?–ეს კარგად ჩანს ანტიკური მითოლოგიის პერსონაჟების კასანდრას, ჰერაკლესა და ანთეოსის მისეულ პოეტურ ინტერპრეტაციაში. ალიონზე პოეტს ესტუმრება სატრფო კასანდრა და შესთავაზებს სახლ-კარისა და მამულების გაყიდვას. თუ ასე არ იზამენ, კასანდრა აფრთხილებს ანთეოსს, რომ მოვა ჰერაკლე და ბრძოლაში დაამარცხებს მას. ბერძნული მითოლოგიით ცნობილი ფაქტია, რომ ანთეოსი ძლიერი იყო მანამ, სანამ მყარად იდგა მიწაზე. მიწა კვებავდა მის ფიზიკურ ძალას. ამას მიხვდა ჰერაკლე და ორთაბრძოლისას ჰაერში აიტაცა ანთეოსი, მიწას მოწყვიტა-ამით ძალა გამოაცალა მას და ჰაერში დაახრჩო. იდეა მითოსისა ცალსახაა-მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი ადამიანი განწირულია დასაღუპად. ლაშას ამ მრავალმხრივ საინტერესო ლექსში, რომელსაც „ანთეოსი" ჰქვია, სწორედ მითოსიდან წამოსული იდეაა პოეტიზირებული და კასანდრას შემოთავაზებაზე–ვგულისხმობთ მამულების გაყიდვას და უცხო მხარეში გადახვეწას, პოეტის პასუხი ცალსახაა:

*ვერა კასანდრა, მიწას ჩემსას*
*ველარ გავყიდი,*
*თუნდაც ათასი ჰერკულესი*
*მემუქრებოდეს,*
*ანთეოსი ვარ და ნიადაგ ჩემზე*
*ჰკიდია*
*ჩემი ჯილაგის გასაგისი და მო*
*მავალი.*
*ველარ გავყიდი მიწას ჩემსას*
*ზეცად აღვლენილს*
*და ვარსკვლავების ხომლეულით*
*დაქვირითებულს.*
*ან ჭას რა ვუყო, დამტყვევებელს*
*სავსე მთვარისას,*
*ან ოწინარებს, ჭრიალით რომ*
*ხმობენ მარადისს?!*

*ველარ გავყიდი წინაპრების*
*ფიქრთა გრაგნილებს–*
*პაპირუსებად, კირბებად და*
*პალიმფსესტებად,*
*რომელთაც მერე მისდგებიან*
*სხვები და ფხეკენ,*

ისევ თხაპნიან ჩვენს განცდილებს სულ სხვა ანბანით. ანტიკური პერიოდიდან თუ უშორესი შრეებიდან მოყოლებული და ლაშა გვასალიას ამ ლექსით დამთავრებული, ზოგადად ლიტერატურა იქნება ის მხატვრული თუ ზეპირსიტყვიერი,მუდმივად თავს დასტრიალებს მიწის თემას, იმიტომ,რომ მიწა სამშობლოა, წინაპართა სულია, ყოფნა-არყოფნის ასპარეზია.ქართული მწერლობა მდიდარია ამ კუთხით. ზეპირსიტყვიერებით მინდა დავიწყო.

გვაქვს ქართველებს ასეთი ზღაპარი-„მიწა თავისას მოითხოვს". უფლისწული გადაწყვეტს ქვეყნიერება მოიხილოს და იპოვოს უკვდავების წამალი. წავა სამოგზაუროდ... ნახავს ამერ-იმერს,ხმელეთის დასალიერს და ამოუცნობი სევდა შეიპყრობს. დიდხანს ვერ ხსნის უფლისწული ამ შინაგანი ფორიაქის მიზეზს და ბოლოს მაინც გაუნათდება გონება-მას წინაპართა მიწა უხმობს და მიხვდება, რომ არ არსებობს უკვდავების წამალი მშობლიური მიწისა და ფესვების გარეშე. ადამიანის უკვდავება იწყება მაშინ, როცა ის სამშობლოშია, წინაპართა ნაფუძარზე იშრომებს, იბრძოლებს და იქ აღესრულება კიდეც. სამშობლოს გარეშე არ არსებობს მარადისობა და უკვდავება. ისინი სამშობლოს წიაღშია.

ზემოთ ვთქვი, რომ პარალელები მრავლადაა მხატვრულ ლიტერატურაშიც. გავიხსენოთ კონსტანტინე გამსახურდიას სავარსამიძე („დიონისოს ღიმილი"), რომელმაც განათლება ევროპაში მიიღო, შვიდი ენა ისწავლა, მაგრამ ტაია შელიას ზღაპრებითა და ლეგენდებით მოწამლულმა მაინც ვერ ჰპოვა თავისი ადგილი და სულიერი შვება უცხოეთის მზისქვეშეთში. იგივე „დიონისოს ღიმილში" სამშობლოდან ბოლშევიკებს გამოქცეული ანარქისტი თადა ლანდია. რესტორანში შეხვედრისას, იგი კონსტანტინე სავარსამიძეს მეგრულად მიმართავს: „აკა ჩქიმ ქიანა ქუმოძირას დო უკული დოპილას" (ერთი ჩემი ქვეყანა მანახა და მერე მომკლა). ამას შეგნებულად აკეთებს მწერალი. თადას ტკივილი და სიხარული მშობლიური სანახებიდან-კოლხეთიდან იწყება და აქედან ერთვის ზოგად ქართულ სინამდვილეს.... დასმული თემის გაშლა უხვად შეიძლება შ.არაგვისპირელის, ნ.ლორთქიფანიძის, მ.ჯავახიშვილის, დ.შენგელაიას, ლ.ქიაჩელის, ო.ჭილაძის, ნ. დუმბაძის, გ.დოჩანაშვილის და სხვათა შემოქმედებიდან. იმ ყველაფრის გათვალისწინებით, რაზეც ვისაუბრე, მე ისევ მივუბრუნდები ლაშა გვასალიას მითიურ ანთეოსს, მიწის სიყვარულს, ადგილის დედისა და ფუძე-ნერჩის ურთიერთობას და ამ თემაზე საუბარს მისივე სიტყვებით მოვრჩები:

*დედის და მამის ნაფეხურებს*
*გავყიდი როგორ,*
*ჩემი დების და დისწულების*
*ბავშვურ ნაბიჯებს?!*
*ლოცვებს რა ვუყო, დედაჩემის*
*წინსაფრის სითბოს,*
*მამის სათუთ და სიყვარულით*
*დაღვრილ ღიღინებს.*

ლაშა გვასალიას „ანთეოსი" ეპოსური ინტონაციით დაწერილი ძარღვიანი ლექსია, ჭეშმარიტად ქართული ლექსი.

არ არის გასაკვირი, რომ ასეთი მსოფლმხედველობის მატარებელი პოეტი სრულიად ახალგაზრდა ჩაერთო ეროვნულ მოძრაობაში. ასე მგონია, რომ ლაშა გვასალია დღესაც ეროვნულ მოძრაობაშია, ბრძოლა არ დამთავრებულა, ბრძოლა გრძელდება და არ დასრულდება მანამ, სანამ არ გამთლიანდება ზღუდემორღვეული სამშობლო.

* * *

ჩვენ ლაშა გვასალიას პოეზიის ერთ მიმართულებაზე ვისაუბრეთ მხოლოდ და ეს ეხებოდა ეროვნულ და მოქალაქეობრივ პოზიციას, პოეტის ადგილს, მის დანიშნულებას თანამედროვე საზოგადოებაში. არ გვითქვამს არაფერი იმაზე, რომ ლაშა გვასალია სულით ხორცამდე სუფთა სისხლის ლირიკოსია და ერთი ამოსუნთქვით შეუძლია შინაგანი ემოციების გამომზეურება ლაღად და ხატოვნად. მას არ უყვარს ხელოვნური ჯებირები და ხელოვნური პოეტური ხარაჩოები პოეზიაში, რაც არაიშვიათია თანამედროვე მწერალთა ტექსტებში. ის არ არის ფარდის მიღმა მდგარი შემოქმედი, მუდამ სცენის შუაგულშია და თვალებში უყურებს მკითხველს. სწორედ ეს ბუნებრიობა მხიბლავს ლაშას ლექსებში-სისადავე, პირდაპირობა, ნათელი სტრიქონები. მომწონს ლაშასეული სიტყვისწარმოება, სიტყვისქმნადობა, მისი სახელზმნები,ზედსართავები. განსაკუთრებით მხიბლავს ხალხურ ინტონაციასთან და ფორმასთან მისადაგებული ლაშას ლექსები. მაგალითად, ასეთი:

*ცხოვრება ჩემი ფიქრია,*
*ვინ გაექცევა დარდებს?*
*დღეები მიწყივ მიქრიან,*
*ხურავენ ნათელ ფარდებს.*
*სული ზეცაზე ჰკიდია,*
*ტკივილს ფერი აქვს შავი,*



*ცრემლი ღიმილზე დიდია,*
*ცრემლი უიღბლო კრავი.*

* * *

არ შეიძლება ვსაუბრობდეთ პოეტზე სიყვარულის გარეშე. პოეტი და სიყვარული, პოეტი და მშვენიერება ერთარსებაშია შენივთული. ლაშა ლაღად წერს სიყვარულზე, ალალად წერს, წერს მოზომილად და ზუსტი აქცენტებით და არა ისე, როგორც ეს ზოგიერთი თანამედროვე პოეტის და პროზაიკოსის პორნოტექსტებშია და, ლამისაა, ეს უხამსი სკაბრეზი კლასიკად შემოგვასაღონ. მე ვთქვი, რომ ლაშა მოზომილია, მე ვიტყოდი- რაინდულია ლირიკული ემოციის შემთხვევაშიც კი. ლაშას შეუძლია საოცარი ტაქტით შეაფასოს ძვირფასი ადამიანის სილამაზე და ალალად უთხრას მშვენიერ არსებას: შენს სილამაზეს ჩემთან ერთად თავს უხრის ჩემი სხეულის ლანდიც კი, რომელიც სხეულზე უფრო გამალებით ისწრაფვის შენსკენო. ეს ლაშას ლექსის პერიფრაზი იყო და, რა თქმა უნდა, ლექსში ათასჯერ უკეთესადაა ნათქვამი:

*ამ სიმარტოვეს უშენობის*
*ვეძახი წუხილს,*
*გხედავ და თითქოს თვალზე*
*ლიბრი მედება რიდის,*
*შენს სილამაზეს თავს კი არა*
*ლანდსაც კი ვუხრი,*
*ჩემი სხეულის მეწინავედ*
*შენსკენ რომ მიდის.*
*რაღაც სრულდება სიყვარულით*
*ცით დასახულით,*
*შენა ხარ ჩემი კვირტნათელი*
*–მზე–გაზაფხული.*

მეც ამ კვირტნათელი სტრიქონებით დავამთავრებ ლაშას პოეზიაზე თქვენთან საუბარს.

## წარსული და თანამედროვეობა

# თეატრალური ხობი

ხობელები თეატრალური ხელოვნების მიმართ უხსოვარი დროიდან დიდ ინტერესს იჩენდნენ, რასაც ადასტურებს ის თეატრალიზებული წარმოდგენები, რომლებიც თან ახლდა ხობის სოფლებში გავრცელებულ ტრადიციულ საეკლესიო-სახალხო დღესასწაულებს–ჯარიანობას, მეგრულ ენაზე „ჯარალას“. ასე იყო მარიამობას „ხობის მარაშინობას“ ხობის მონასტერთან, ხეთაში–„მიქანგარიობას“, ბიაში–„მალანურობას“... გამორჩეული სადღესასწაულო-ჯარიანობის დღე, მეგრულად „დღახუ“ ყველა სოფელში დიდი ზეიმით აღინიშნებოდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ხობში გამოჩნდნენ სცენისმოყვარეები, რომლებიც კლასიკური სახით დგამდნენ წარმოდგენებს. გაზეთ „ივერიის“ ფურცლებიდან ვიგებთ, რომ მოთამაშენი („მსახიობები“) იყვნენ: ქ-ნი ო. **ჯორჯიკია**, და ბ-ნი ერ. **შარაძე**, ა. **გვასალია, მატრონა ჯორჯიკიას ასული, შანავა** და სხვანი. მოთამაშეებმა თავიანთი როლები მშვენიერად შეასრულეს. საზოგადოება გვარიანად დაესწრო და ყველანი დიდად ნასიამოვნები დარჩნენ“. წარმოდგენები ხობის სკოლაში იმართებოდა. მოგვიანებით ხობში მოქმედება დაიწყო სათეატრო შენობამ–სახალხო სახლმა.

XIX საუკუნის ბოლოს სცენისმოყვარეები გაჩნდნენ ხეთის თემშიც, სადაც XX საუკუნის დასაწყისში **ვლადიმერ ნაჭყებიას** თაოსნობით თეატრის მოყვარულთა ძლიერი ჯგუფი



გაჩნდა, ეს მოვლენა არ გამოპარვია ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორს **იოსებ იმედაშვილს** და 1919 წელს პირადად ჩასულა ხეთაში და იქ ადგილობრივ სცენისმოყვარეებს შეხვედრია. იმავე წელს ხეთელ სცენისმოყვარეებს დაუდგამთ პიესები: ალ. ყაზბეგის „არსენა ყაჩაღი“, ვ. ბალანჩივაძის „უბედური დღე“, საინტერესოა, რომ ვლადიმერ ნაჭყებიას დაუდგამს მეგრულ ენაზე პიესა „ჯამუ და კოკეიხე“. ხეთელი სცენისმოყვარენი იყვნენ: **ვლ. ნაჭყებია, პ. მეუნარგია, თ. კობახიძე, სონია, ნადია, ფეოდოსია კობახიძეები, კ. ბუკია, დ. კიტია, ა. ქირია, პ. ლატარია, ა. გაბრავა...**

სცენისმოყვარეთა დაუღალავი მუშაობა დადებით გავლენას ახდენდა საზოგადოებაზე. სწორედ ამ მოძრაობამ წარმოშვა ისეთი დიდი ხელოვანი, როგორიც **პიერ კობახიძე** იყო.

1934 წლიდან ხობში სახელმწიფო საკოლმეურნეო თეატრი მოქმედებდა, მისი პირველი დირექტორი **ნიკოლოზ შონია** იყო. მეორე მსოფლიო ომმა შეზღუდა და ფაქტობრივად შეაჩერა სახელოვნებო მუშაობა. ომის დაწყებამდე ნოჯიხეველი ახალგაზრდა **დავით ჩიტაია** თბილისში სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა და საბუთები თბილისის უნივერსიტეტში შეიტანა. დავითი, ერთ ოჯახში შემთხვევით, დიდ **აკაკი ხორავას** შეხვდა, რომელიც იმ დროს თეატრალურ სტუდიას (ინსტიტუტს) განაგებდა, მას მოსწონებია ნოჯიხეველი ახალგაზრდა. აკაკის დაჟინებული თხოვნით, დავითი იძულებული გახდა, საბუთები უნივერსიტეტიდან გამოეტანა და თეატრალურ სტუდიაში შეეტანა. სამწუხაროდ, მეორე მსოფლიო ომმა არ დააცალა მას, ნიჭიერი ახალგაზრდა ომის მიწურულს, 1945 წლის იანვარში უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში დაიღუპა, დაკრძალულია იქვე.



ომის შემდგომ წლებში ხობში ნელ-ნელა ძალა მოიკრიბა და კვლავ გაიფურჩქნა თეატრალური ცხოვრება. ხობის თეატრალური წარმოდგენების შესახებ ხშირად იბეჭდებოდა როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ გაზეთებში და სახელოვნებო ჟურნალებში. ხობის სცენას ამშვენებდნენ: **შ. ლოლუა, ო. წურწუმია, მ. შურღაია, მ. ლატარია, ს. ჯალაღონია, რ. ალანია, ფ. ჩანგელია, ნ. გელოვანი, ბ. წურწუმია, პ. მირცხულავა, ლ. ჩაჩიბაია, რ. გახარია**...

1981 წელს რაიონის მაშინდელი თავკაცის **ნუგზარ ნადარაიას** თაოსნობით აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა ხობის კულტურის სასახლე, მოძრავი სცენით, დიდი და მცირე დარბაზით, სადაც ადგილობრივ დასთან ერთად გამოდიოდნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის, რუსთაველისა და მარჯანიშვილის, ვასო აბაშიძის სახელობის თეატრები, ფოთის, ზუგდიდისა და სენაკის დასები, სუხიშვილების სახელმწიფო ანსამბლი...

წლებია ხობის სასცენო ხელოვნებას ამშვენებენ **რამაზ ლოლუა, მარინა ჯღარკავა და მანანა შამათავა**. გარდა იმისა, რომ ისინი შესანიშნავი მსახიობები არიან, მათ მიერ დადგმული სპექტაკლები საზოგადოების დიდ მოწონებას იმსახურებს. ხობელ თეატრალებს მრავალჯერ წარმატებულად მიუღიათ მონაწილეობა სხვადასხვა სახის კონკურსებსა თუ რესპუბლიკურ დათვალიერებებში.

პატარების დიდი მოწონებითა და სიყვარულით სარგებლობს თოჯინების თეატრი, რომელსაც მანანა შამათავა ხელმძღვანელობს. წლებია მარინა ჯღარკავა ხობელ ბავშვებს თეატრალურ ხელოვნებას ასწავლის.

ხობის №1 საჯარო სკოლაში მის მიერ დადგმულმა სპექტაკლმა ვაჟა ფშაველასადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ კონკურსში, დიდ წარმატებას მიაღწია.

სულ ახლახან ქალბატონ მარინას მიერ დადგმულმა სპექტაკლმა „ბუნების შვილები“ სრული ანშლაგით ჩაიარა, მსახიობებად ხობელი ბავშვები მოგვევლინენ, რომლებმაც პროფესიონალური, მსახიობური უნარები გამოავლინეს, რაც უდავოდ ქალბატონ მარინას დამსახურებაა.

თეატრს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწეები, რადგან ხელოვნების ამ დარგს ადამიანზე დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ის განსაკუთრებულად აძლიერებს ადამიანში მშვენიერების აღქმის უნარს.

ხობში თეატრალური ცხოვრება იმედს გვისახავს, რომ აქ კვლავ გაჩნდებიან პიერ და ბადრი კობახიძეების დარი ხელოვანები.

მცირე საგაზეთო წერილში ნამდვილად ვერ ჩაეტევა ხობის თეატრალური ცხოვრების ისტორია, ის ძალიან მდიდარია და სპეციალურ კვლევას მოითხოვს. ჩვენ კი, შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ ხობელ თეატრალებს!

***გოგიტა ჩიტაია.***

## სამადლობელი



ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში ანშლანგით ჩაიარა სპექტაკლმა „ბუნების შვილები“ (ვაჟა ფშაველას მოთხრობების მიხედვით).

ვიდრე სპექტაკლს ვიხილავდით, აფიშა გვაუწყებდა:

ინსცენირება და დადგმა–**მარინა ჯღარკავა;**

მხატვარი **ემილ გეგენავა.**

ტექნიკური რეჟისორი **ნინო ქარჩავა,** მუსიკალური გაფორმება და არანჟირება **ლაშა კვიკვინია, ქეთევან გულუა.**

ქორეოგრაფი **კობა გერგაია,** ელ.ინჟინერი და სცენის ტექნიკური უზრუნველყოფა **ნიკა ქავთარაძე, ვანია შეროზია.**

ხმის ოპერატორი **თინათინ ჯიქია,** ფოტო-ვიდეო გადაღება და მონტაჟი **ბესო გაბრავა**.



კოსტიუმებზე მუშაობდა **მარიტა ტურავა.**

მონაწილეობენ: **ლიზი ბუკია, დავით (ბუბა) შონია, ირაკლი ჯობავა, დავით გელაშვილი, დემეტრე ჩუხუა, თეკლა დავითულიანი, ნიკო გერგაია, ანა- მარია გერგაია, ოთარ ეზუხბაია, საბა სიჭინავა, ნუკრი ჭითაშვილი, კესო კობახიძე, ნინო ქავთარაძე, ბარბარე საჯაია, ელენე კინწურაშვილი, გიორგი ნადარაია, ნატა ჭითანავა, ნინი ბუკია, კოკა თუთბერიძე, კატო კობახიძე, ლია ჯიქია, ლევან ხოჭოლავა, ანასტასია საჯაია...**

...დადგა 1 ივნისი–ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, 15 საათი...

მაყურებლით სავსე დარბაზი დაგვხვდა... ასეთი რამ კარგა ხანია არ ახსოვს ხობის კულტურის სახლის დარბაზს, საოცარი, ულამაზესი დეკორაციის მხილველები გავხდით... ყურადსაღებია ისიც, რომ მაყურებელს თითქოს სუნთქვა შეეკრაო, უჩვეულო წესრიგში დროულ ემოციებს ბოლო არ უჩანდა.

მონაწილეები მაყურებლის მადლობას იმსახურებდნენ თავიანთი არტისტიზმის გამო... საკვირველი იყო და ქ-ნ მარინა ჯღარკავას მაღალ პროფესიონალიზმზე მიუთითებდა ისიც, რომ თითოეული მათგანისთვის მორგებული როლი პატარებს ისე შესისხლხორცებოდათ, გეგონებოდა დაბადებიდანვე ყოფილიყვნენ სცენასთან შეზრდილები. (სცენები „ჩხიკვთა ქორწილი“, „წუნა და წრუწუნა“).

და ბოლოს „შვლის ნუკრის ნაამბობი“ (ანა- მარია გერგაია), რომელიც თავადაც ხომ ცრემლებს ღვრიდა, მაყურებელიც აატირა...

აპლოდისმენტებმა იქუხა, როცა სცენაზე თავის პატარა დასელებთან ერთად ქალბატონი მარინა ჯღარკავა გამოჩნდა...

დარბაზმა იგი ფეხზე ადგომით, აპლოდისმენტებით და მქუხარე ტაშით დააჯილდოა...

უნდა აღვნიშნო, ხობის სინამდვილეში ადგილობრივი შემსრულებლების მიმართ ასეთი ინტერესი, ასეთი გულთბილი სამადლობელი, ასეთი ნასიამოვნები, გაღიმებული სახეები კარგა ხანია არ მინახავს... სურვილი გამიჩნდა კიდევ მრავალგზის დავესწრო სპექტაკლს...

ჟურნალისტის ცხოვრებაში არის დაგეგმილი მასალის „ჩავარდნის“ შემთხვევები, ჩემთვის ეს პირველია, როცა სასიამოვნო ემოციის გამო რეცენზია, სამადლობელი ან მოფერება არ გამომდის...

ჩემო მშვენიერო, ნიჭიერო, მშრომელო, მონდომებულო ქალბატონო მარინა, ვამაყობ, რომ თქვენთან დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს...

ეს იყო ყველა ასაკის მაყურებლისთვის უდიდესი სიამოვნების დღე. მადლობა თითოეულ მონაწილეს, ყველას, ვინც კიდევ ერთხელ გვაზიარა გენიალურ ქართულ მწერლობას და შეგვახსენა „ვისი გორისანი ვართ“.

***უდიდესი სიყვარულით***
***მერი ლაგვილავა***

## ჩვენს მუნიციპალიტეტში



შეხვედრას ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია, საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე, მერიის, საკრებულოს და ადგილობრივი თვითმმართველობის იურიდიული პირების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ანა ცანავა და სამხედრო ჟურნალისტთა ასოციაციის თანადამფუძნებელი გიორგი ცხვიტავა უძღვებოდნენ.

შეხვედრაზე ნატო-საქართველოს თანამშრომლობასა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს. სემინარი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის " დასავლური ინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში" ფარგლებში გაიმართა, რომელსაც საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან ერთად ახორციელებს.

---

16 ივნისს, შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში, ავგისტოს ომის დროს დაღუპული კაპრალის, ზვიად დათუაშვილის სახელობის თასის გათამაშების ფინალური მატჩები გაიმართა.

ტურნირის გამარჯვებული ქალაქ ხობის გუნდი გახდა, მეორე ადგილი გურიფულმა, ხოლო მესამე ადგილი შუა ხორგის ადმინისტრაციული ერთეულის გუნდმა დაიკავა.

სპორტულ შეჯიბრებას ზვიად დათუაშვილის ოჯახის წევრებთან ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე და ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ბერაია ესწრებოდნენ.

სპორტული ღონისძიება ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის" ორგანიზებით განხორციელდა.



## რა არის „მაიმუნის ყვავილი", როგორ ვრცელდება და როგორია სიმპტომები?

„მაიმუნის ყვავილი" იშვიათი დაავადებაა, რომელიც მაიმუნის ვირუსითაა გამოწვეული. პირველი შემთხვევა ადამიანებში დაფიქსირდა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1970 წელს და მას შემდეგ დაავადება რამდენიმე ქვეყანაში გავრცელდა, ძირითადად ცენტრალურ და დასავლეთ აფრიკაში.



ინფექცია ადამიანებს, დაავადებული ცხოველისგან, კერძოდ კი მაიმუნუსგან და მძრნელებისგან გადაედებათ, თუმცა დაავადების გადამტანი ინფიცირებული ადამიანიცაა,

საინკუბაციო პერიოდი 7-დან 14 დღემდე გრძელდება თავდაპირველი სიმპტომები გრიპის მსგავსია, მათ შორის არის ცხელება 38,5 გრადუსზე მეტი, თავის ტკივილი, ლიმფური ჯირკვლების შესივება, შემცივნება, ზურგის და კუნთების ტკივილი, და ზოგადი მოთენთილობა: რამდენიმე დღეში სახესა და ტანზე ჩნდება გამონაყარი საბოლოდ ისინი იფარება ფუფხით და სცილდება. დაავადება კი ორ-სამ კვირაში გადის.

აფრიკაში მაიმუნის ყვავილი ყველაზე მეტად საშიში ბავშვებისთვის აღმოჩნდა. ზოგიერთი აფეთქების დროს მათმა სიკვდილიანობამ 10 %-ს მიაღწია. მკურნალობა შემოიფარგლება სიმპტომთა ნაწილობრივი მოხსნით. აფეთქებებს აკავებენ პაციენტთა იზოლაციისა და მათ გარშემო მკაცრი ჰიგიენის დაცვით გით. ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრას შეუძლია გარკვეულად დაიცვას ისეთი ადამიანები, რომლებიც შესაძლოა ვირუსის ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდნენ, მაგალითად ვეტერინარები და სხვა მეცხოველეები.

დაინფიცირებულ ცხოველებში შემჩნევა ციებ-ცხელება გამონაყარი, ლიმფური კვანძების შეშუპება.

გამონაყარი ჩნდება სახესა და სხეულზე, მათ შორის პირში, ხელის გულზე და ტერფებზე. ახასიათებს მწვავე ქავილი, გამონაყარის მუწუკები სითხით ივსება და ხშირად წითელი წრეები აკრავს, ბოლოს ისინი ფუფხად გადაიქცევა და 2-3 კვირაში თავისით ცვივა, კანზე შეიძლება დატოვოს ნაწიბურები.

ინფექცია ძირითადად თავისით გაივლის და 14-21 დღემდე გრძელდება. „მაუმუნის ყვავილია" ვრცელდება ინფიცირებულ პირთან ახლო კონტაქტის გზით. ვირუსი სხეულში შეიძლება მოხდეს დაზიანებული კანიდან, სასუნთქი გზებიდან, თვალებიდან, ცხვირიდან ან პირიდან. ასევე ის ვრცელდება სქესობრივი აქტის დროს ორი ადამიანის ერთმანეთთან ახლო კონტაქტის გამო

ვირუსი ასევე ვრცელდება ინფიცირებული ცხოველებთან, მაგალითად მაიმუნებთან, ვირთხებთან და ციყვებთან კონტაქტის გზით, ისევე როგორც ვირუსის დაბინძურებულ ობიექტებთან, მათ შორის საწოლთან ან ტანსაცმელთან კონტაქტის გზით. არ არსებობს „მაიმუნის ყვავილის" სპეციალური სამკურნალო საშუალება, მაგრამ გავრცელებათა კონტროლი შესაძლებელია ინფექციის პრევენციით.

აღმოჩნდა, რომ ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინა მაიმუნის „ყვავილის წინააღმდეგ" 85% ეფექტიანია. ყვავილის ვირუსი ლიკვიდირებულად ჩაითვალა 1980 წელს. 2019 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ დაამტკიცა ახალი ვაქცინა „მაიმუნის ყვავილის" წინააღმდეგ, რომელიც შესუსტებული ყვავილის ვირუსს ეფუძნება. ის ორდოზიანი ვაქცინაა, რომლის ხელმისაწვდომობაც შეზღუდულია. ვირუსით გამოწვეული დაღუპვის შემთხვევები მერყეობს 1%-დან 10%-მდე.

საქართველოში დაფიქსირებული იყო „მაიმუნის ყვავილით" ადამიანის დაავადების ერთი დადასტურებული შემთხვევა მსუბუქი მიმდინარეობით, პაციენტი უკვე გამოწერილია სტაციონალიდან.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ დაადასტურა მაუმუნის ყვავილის ვირუსით ადამიანის დაავადების 780 შემთხვევა მსოფლიოს 27 ქვეყანაში, მათ შორის დიდ ბრიტანეთში 207 შემთხვევა, ესპანეთში–156, პორტუგალიაში 138, კანადაში–58, გერმანიაში–57.

არაენდემურ ქვეყნებში ამ დაავადებით გამოწვეული სიკვდილიანობის შესახებ მონაცემები არ არის. დარგის ექსპერტების აზრით „მაიმუნის ყვავილის" ვირუსით ადამიანებში დაავადების ფართო მასშტაბით გავრცელებას ადგილი არ ექნება.

***ჯუმბერ ტურავა, ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე. ექიმი-პროფილაქტიკოსი.***

## სულთათანა

## ომეხი ხარბედია



68 წლის ასაკიც ვერ შეისრულა ომეხი ხარბედიამ, სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე იმიერში გადასახლდა.

იგი გამორჩეულ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, უბადლო პიროვნება გახლდათ, ღვაწლმოსილი, დიდებული ადამინი, ვისთვისაც მემეტება ყველა კარგი სიტყვა, რაც კი შეიძლება მასზე ითქვას.

იყო თავისი თაობის საგვარეულოს წინამძღოლი და ამავე დროს ახალგაზრდა თაობისთვის სამაგალითო პიროვნება. ახერხებდა მათ სწორ გზაზე დაყენებას თავისი კეთილი სურვილებით. ყველას უზიარებდა სიცოცხლისა და სიყვარულის ნაპერწკალს. იცოდა ადამიანის გვერდში დგომა ლხინსა თუ ჭირში. სხვისი სატკივარი მუდამ გათავისებული ჰქონდა, რადგან იცოდა ამის ფასი.

ამ ასაკში დასანანია ასეთი ადამიანის იმ სამყაროში გადასვლა, არადა ბევრს სჭირდებოდა გზად და ხიდად მისი სუფთა და მართალი გული.

მარტო ის რად ღირდა, რომ ომეხი მხნედ და ომახიანად ორგანიზაციას უკეთებდა ხარბედიების საგვარეულოს–წელიწადში ერთხელ სენაკის სახარბედიოს ეკლესიაში მრევლად მიავლენდა მათ და ამით ის ძალიან დიდ საქმეს აკეთებდა, რასაც უფასებდა მთელი საგვარეულო და სიყვარულით უბრუნებდა უკან.

მინდა აღვნიშნო, რომ იყო კარგი ოჯახის შემდგარი მეთაური. მის გვერდიგვერდ იბრძოდა მეუღლე თამარი ჟურუა სამაგოდ აღზრდილ ორ ვაჟთან და შვილიშვილებთან ერთად. ქალბატონ თამარს მხნეობა, ჯანმრთელობა და დიდი ხნის სიცოცხლე მინდა ვუსურვო თავის ოჯახთან ერთად.

დასანანია ომეხის გარდაცვალება... გულმხიანი, სხვისი ხელის გამმართავი ადამიანის სული ნათელში ამყოფოს უფალმა.

***გულნარა შუშანია***

# ფეხბურთელებმა წარმატებით იასპარეზეს

9 მაისს, სტარტი აიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილმა ხობის მუნიციპალიტეტის პირველობამ მოყვარულთა შორის ფეხბურთში.

შეჯიბრებაში, რომელიც ოლიმპიური სისტემით ჩატარდა. თამაშში 12 გუნდი იღებდა მონაწილეობას. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ, გამოვლინდნენ ფინალისტები.

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, გაიმართა ფინალური მატჩი, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდები–ხეთა და ხობის „კოლხეთი 2007“.



მატჩი დაძაბულად წარიმართა. თავიდან აქტიურობდნენ ხობელები. თუმცა, ხეთელებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა. მეორე ტაიმში მათ ორი გოლი გაიტანეს ხობელთა კარში და საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირდა–2:0 ხეთელთა სასარგებლოდ.

ამრიგად, პირველი ადგილი დაიკავა და მუნიციპალური პირველობის გამარჯვებული გახდა ხეთის ფეხბურთელთა გუნდი (გუნდის წარმომადგენელი შავლეგ ბუკია, მთავარი მწვრთნელი კობა ლატარია).

მეორე ადგილი დაიკავა ხობის „კოლხეთი–2017“ ფეხბურთელთა გუნდმა, მესამე ადგილი კი მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდმა „კოლხა“. I-II-III ადგილზე გასულ გუნდებს გადაეცათ შესაბამისი ხარისხის თასები, პრიზები და სიგელები, ასევე გამოვლინდნენ საუეთესო ფეხბურთელები სხვადასხვა ნომინაციაში. მათ სპეციალური პრიზები და სიგელები გადაეცათ.

საუკეთესო ფეხბურთელები სხვადასხვა ნომინაციაში:

საუკეთესო მეკარე–ლევან რუხაძე (ხეთა);

საუკეთესო მცველი–ნიკოლოზ ბერაია (ხეთა);

საუკეთესო ნახევარმცველი–მერაბ ხარბედია (ხობი);

საუკეთესო თავდამსხმელი–გიორგი ჯიქია („კოლხა“);

საუკეთესო ბომბარდირი–დავით ბახტაძე (ხობი);

საუკეთესო ფეხბურთელი–ლევან ხურცილავა (ხეთა).

დაჯილდოებას უძღვებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია, საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე, მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია, მერის მოადგილე დავით ბერაია, საკრებულოს განათლების, კუტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ქალბატონი დოდო გაბუნია, საკრებულოს იურიდიულ სამანდატო საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მედეა თათარიშვილი.

მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ქალბატონო ელისო კვიკვინია, მერიის სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განყოფილების გამგე ქალბატონი ნინა ბუკია.

მუნიციპალური პირველობის გამარჯვებული ხეთის ფეხბურთელთა გუნდი ივლისიდან მონაწილეობას მიიღებს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მოყვარულთა ლიგის გათამაშებებში.

წარმატებები ვუსურვოთ ხეთელ ფეხბურთელებს.

***ლევან ლემონჯავა, ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სპორტის საკითხებში.***

მილოცვა

## ლიზი და ლუკა ლომჯარიებს!



მონატრებულო ლუკა და ლიზიკო! გილოცავთ თქვენს დაბადების დღეებს, ძალიან გაგვახარეთ თქვენი ჩამოსვლით. ვნატრობდით რომელიმეს დაბადების დღე მაინც აქ, საქართველოში გადაგეხადათ.

გვინდა მუდამ ჯანმრთელები, წარმატებულები, ლამაზები, მხიარულები იყოთ და გქონოდეთ საშუალება უფრო ხშირად ვიყოთ ერთად. გფარავდეთ უფალი!

სიყვარულით

***ტატა, გოგი, ნუცა, ალექსანდრა ბუკიები.***

## ბარბარე კაკაჩიას!



15 ივნისი „ხობის მოამბეს“ რედაქციელების კიდევ ერთი „შვილობილის“ ბარბარე კაკაჩიას დაბადების დღეა (10 წლის გახდა)

იბედნიერე, ჯანმრთელი და წარმატებული გაიზარდე. კვლავ გაგვახარე სწავლაში წარმატებებით.

გილოცავთ უდიდესი სიყვარულით

***რედაქციელები***

## ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის სამუსიკო სკოლა

## აცხადებს

### მოსწავლეთა მიღებას

სწავლის ხანგრძლივობა მოიცავს 7 კლასს.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

1. დაბადების მოწმობის ასლი
2. ცნობა საჯარო სკოლიდან
3. ფოტო-სურათი–2 ცალი (3X4).

**მიღება დაწყებულია!**

სხვა საჭირო ინფორმაცი-ისთვის მიმართეთ სამუსიკო სკოლა (მენეჯერი თამარ ხუნწარია).

ტელ: 577 62 20 26.

ნაზი ბერაია–577 66 87 94.

მისამართი: ქ. ხობი ცოტნე დადიანის ქ. № 187 კულტურის სახლის შენობა, მე-2 სართული.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, კობა კობახიძე, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.